საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7516/01
06/08/2020

7516-01-2-202008061615

**შპს „გ.რ. მოტორსის“ დირექტორს**

**ბატონ გენადი ჭანტურიძეს**

**მის:** სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაიში 23–ე ქ. N 68

ბატონო გენადი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა შპს „გ.რ. მოტორსის“ მიმდინარე წლის 29 ივლისის N11772 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასაზე, გლდანის ხიდის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტაციაში, ცხრილი N1-ში (მონაცემები საწარმოს შესახებ) ასახული GPS კოორდინატების (X-482468; Y-4625895) ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული კოორდინატები ხვდება მდ. მტკვარში, შესაბამისად ვერ იდენტიფიცირდება საწარმოს განთავსების ტერიტორია და მის მიმდებარედ არსებული ობიექტები. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტექნიკური წყლით მომარაგება განხორციელდება მდ. მტკვრიდან, თუმცა წარმოდგენილი GPS კოორდინატების (X-482475.73; Y-4626963.26) შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ წყალაღების წერტილი ხვდება ხმელეთზე (მდ. მტკვრიდან 54 მეტრის მანძილზე), ხოლო საწარმოს განთავსების კოორდინატებიდან აღნიშნული წერტილი დაცილებულია დაახლოებით 1070 მეტრით. მოცემულ კოორდინატებთან დაკავშირებული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირებას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია გადასამუშავებლად მიღებული და უკვე გადამუშავებული ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) ფრაქციების, ზომების შესახებ. ამასთან, დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმოო პროცესში დამსხვრეული მასალის განთავსება, ლენტური ტრანსპორტიორების მეშვეობით მოხდება სანაყაროზე, თუმცა არ იდენტიფიცირდება აღნიშნული სანაყაროს ადგილმდებარეობა, მასზე ნედლეულის განთავსების პირობები და განთავსების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის მდ. მტკვარში ჩაშვებამდე განხორციელდება მისი გაწმენდა სამსექციან ჰორიზონტალურ სალექარში. სკრინინგის

განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სამეურნეო მიზნით, საწარმოს წყალმომარაგებასთან და ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების განმეორებით წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე